ვებ-გვერდზე www.rebank.ge განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე - www.rebank.ge - განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ, ხელშეკრულების 5.1.4. მუხლი შეიცვალოს ახალი ფორმულირებით და მუხლის შინაარსი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5.1.4 ბარათს ბანკი ამზადებს კლიენტის მიერ შევსებული სათანადო განაცხადის საფუძველზე და გადასცემს კლიენტს სარგებლობაში პერსონალურ საიდენტიფიკაციო კოდთან (პინ-კოდი) ერთად (პინ-კოდის გადაცემა ხდება დალუქული კონვერტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით). პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდის (პინ-კოდის) შეცვლა შესაძლებელია მომხმარებლის ინტერნეტბანკის, მობაილბანკინგის, ასევე ბანკომატის ან / და სერვის ცენტრის მეშვეობით, ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული 5.1.4. მუხლის ახალი რედაქცია ძალაში შედის მისი გამოქვეყნების თარიღიდან.

გამოქვეყნების თარიღი: 2023 წლის 25 იანვარი